ო 163/6 PX 4665/1 2ლ

# ჩვენ ვიცით, როგორ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები!







## ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება!




დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი “ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება”; თბილისი, ერეკლე II მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ.№3/36; დამამზადებელი: შპს “მუხა2012”; თბილისი, კოსტავას ქ.№69, ს/კ 400053838; ტირაჟი: 250000ც; თარიღი: 04-07.09.2012; (29.7სმ X 21სმ ორმხრივი) ერთი სახის სააგიტაციო მასალა.

**შემოგვიერთდი**

georgiandream.ge
ტელ: 219 7711

# ღირსეული დასაქმება ყველას!



**41**

საარჩევნო ბლოკი

„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“

# ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება

41

## ცვლილებები რეალური შედეგისთვის!

- დღეს სამსახური პრივილეგიაა, რომლითაც, პირველ რიგში, სახელისუფლებო ელიტა, მათი ნათესავები და მეგობრები სარგებლობენ. პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის სტილია
- პოლიტიკური კლანები და მონოპოლიები აკონტროლებენ ბიზნესს, რაც ხელს უშლის სამუშაო ადგილების შექმნას
- მოქმედი შრომის კოდექსით იგნორირებულია დასაქმებულთა უფლებები
- დაუსაქმებელია ბევრი პროფესიონალი

## ჩვენ ამას შევცვლით!

## ხალხის რეალური დასაქმება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი იქნება!

## მასობრივი უმუშევრობა დასაქმებით შეიცვლება!

### ჩვენ შევქმნით:

- ახალ, სამართლიან და დაბალანსებულ შრომის კოდექსს
- ევროპული სტანდარტების შესაბამის კანონმდებლობას რეალური პროფესიული კავშირების ასამოქმედებლად

„კარგად მესმის, რომ დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. მე მთელ ჩემს ცოდნას და გამოცდილებას გამოვიყენებ, რომ საქართველოში აღარ დარჩეს ადამიანი, რომელიც სამსახურს ეძებს. ჩვენი მოქალაქეები იმსახურებენ ღირსეულ სამუშაოს და ღირსეულ ხვალინდელ დღეს“.

ბიძინა ივანიშვილი



### ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება:

- მონოპოლიების გაუქმებით და კლანური წნეხისგან ეკონომიკის გათავისუფლებით
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით
- რეალური ინვესტიციების მოზიდვით

— რეგიონებში შეიქმნება ათასობით საწარმო

— პრიორიტეტული იქნება ადგილობრივი კადრების დასაქმება

— ბიზნესის დასაწყებად დაწესდება სპეციალური შეღავათები

— სახელმწიფო წაახალისებს იმ საწარმოებსა და კომპანიებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებს დაასაქმებენ

## ამ გეგმის განხორციელება ჩვენი გამარჯვებისთანავე დაიწყება!